


ნახ. მალე წამახსენებია







# «**შპუი იაფსაიქი**»

## ფელატონი

**კიუბ** კაცზე იტყვიან ხოლმე: ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო. მართალია, ქვა ბევრი ჰქონდა თბილისის სამოქალაქო მომსახურების საწარმოო კომბინატის სასაფლაოს ქვის დამამუშავებელი საამქროს ბრიგადირს რეზო გრამიტონის ძე კვირკველიას და არც სიჯიუტე აკლდა, მაგრამ იმ ჭკუაზე სულაც არ იყო, რომ თავი ასე გაემეტებინა; ან ქვას როგორ გაიმეტებდა მალა ასაგდებად და გადასაგდებად, როცა მისი ყოველი მისხალი ოქროდ ფასობდა! ხასიათის სიჯიუტე კი იმაში გამოავლინა რეზომ, მალა ფასებში ყიდდა სასაფლაოს ქვებს.

ქვების მოჭრაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, მაგრამ ანდაზამ — „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი!“ — სულ დაკარგა ფასი რეზოს თავადში, რადგან შეეძლო სულაც არ დაეცვა ზომები, ნაკლები გაბარიტები დაეჭირა და ფასიც უზომოდ აეწია.

სამაგიეროდ სხვა, უფრო მოხდენილ ნათქვამს იყენებდა ხშირად: „თუ მიცვალე ბულისათვის რამეს ყიდულობ, არ უნდა შეევაჭრო, თუ გინდა საყვარელ ადამიანს სული არ დაუშვიო!“

ამას მაშინ ჩურთავდა ხოლმე გრამიტონის ძე, როცა გრანიტის, ბაბალაქისა და მარმარილოს ქვებს აფასებდა და შვთავსაფრიან მუშტარს აწონებდა.

**რეზო კვირკველიას**, რასაკვირველია, თანამზრახველიც ჰყავდა — ამავე საამქროს მხატვარი ანტონ გიორგის ძე ცეცხლაძე, რომელიც ქვების მოხატვის გარდა, მათთვის ცეცხლის წაქიდებაშიც იყო დაოსტატებული.

აუწყვედა ფასს რეზო გასაყიდ ქვას, გადაუკარავდა თვალს ანტონს და ისიც აძლევდა ტონს — ორივენი ისე მალა სწევდნენ ფასს, რომ ჭირისუფალი ფეხის წვერებზე უნდა შემდგარიყო, რომ როგორმე შესწვდომოდა!..

მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მაცდურად თამაშობდა საფლავის ქვების მახანდა:

ა. კანდელაკიშვილს კანონით დადგენილი 222 მანეთიდან თვალსა და ხელს შუა აუხტა საფლავის ქვის ფასი და 1500 მანეთად იქცა!

გ. გაბოიანის თვალწინაც დაიწყო თამაში ფასმა, 629 მანეთიდან ასტა და იმდენი ისტუნა, სანამ 2000 მანეთად არ იქცა!

რ. ათაბეგაშვილს გაკვირვებაც არ აცალა ფასმა, ჯერ ემუქრებოდა გადავიდა, შერე ისკუბა და 143 მანეთი და 44 კაპიკიდან 1000 მანეთამდე ასტა!

ასევე გაოცებულები ადევნებდნენ თვალს საფლავის ქვების ფასების სტუნვა-თამაშს ლ. როიტენბერგი, ა. პამბუნჩიანი, ი. ხანმარი, ჯ. აფაქიძე, ე. ბროცი, ო. დანილოვა და სხვები, უყურებდნენ და ცარიელ ჯიბეებზე ირტყამდნენ ხელებს!..

ერთი სიტყვით, საფლავის ქვებს ცეცხლი ეკიდა და ამ ცეცხლიდან ტრუსის სუნი ჯერ ჭირისუფალთა ჯიბეებს ავარდა, კვამლმა კი თვალეები დასწვა მათ და მწარედ ააცრემლა, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო მწუნარების ცრემლი!..

საქმე გასმარდა.

**რეზო კვირკველიამ** ჯერ გაიკვირვა, რომელი უშრომელი შემოსავალი, რის ფლავიო, მაგრამ იქვე ენას კილი დააჭირა, ვინმეს ქელესის ფლავი არ ეგონოს და უარესად არ გაღიზიანდესო.

სანამ რ. კვირკველია გაკვირვებულია როლს თამაშობდა, ა. ცეცხლაძემ არც აცია და არც აცხელა — პირდაპირ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამოყო თავი, ძმაცანი კი მარტო დატოვა მართლმსაჯულების პირისპირ!..

იტყვიან ხოლმე, პატრონმა მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო.

**რეზო კვირკველიას** და **ანტონ ცეცხლაძეს** ეს ანდაზა მაინც რომ სცოდნოდათ, მაშინ მიხვდებოდნენ, რომ ჭირისუფლის შავი თავსაფარი უშრომელი შემოსავლის მოტრფიალეთათვის ყოველთვის არ იქნებოდა საიმედო ფარი!

### თამაზ ბურდულაძე,

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის წევრი, დოქტორ ზურაბიშვილი.

ნახ. შ. აბაშიძისა



სწორედ საჩენო უფროსი დავგინუნეს! რაც მოთავარია, საერთო ენა გამოვანახეთ!

### მურმან ხუნჯარია

# სკამი

მოსამართლეს სკამი უდგას, სწავლულსაც ხომ სკამი უნდა?! სკამის ძებნა ბევრისათვის საზრუნავი არის მუდამ!

ზოგი თავის სკამზე წის და ზოგსაც ერგო სავარძელი, იბღინებდა ისე, თითქოს მიფე არის, თანაც — ბრძენი.

ზოგი სკამით მალა-მალა სულ სკუპსკუპით იწევს ნელა, სავარძელში თუ დაბრძანდა და თუ გზაზე გაიწვია,

ხდება ცივი და პირქუში, ემსგავსება ნადირს საშიშს, გიბღვერს, გიღრენს, გემუქრება, ლამის სკამი ჩაცხოს თავში!..

ასეა თუ ისე არის, მოწმენი ვართ ერთი რამის: ზოგს აბრძენებს, ზოგს ავიფებს სულ უბრალოდ ეს ხის სკამი!..

ზოგს სკამი აქვს ნაჩუქარი, ზოგს — წართმეულ-მოპარული!.. მეგობრებო, საშიშია სკამის ყველა მოყვარული!



# ნ ა რ ე ვ ი

## ს უ რ დ ა

- სურდა მერგება, ამხანაგო!
- მიიღე, რაღა!
- კიდევ მერგება!
- რა?!
- სურდის სურდა!
- რამ დაგახურდავა ასე ამხელა კაცი?!

## ფიზიკის გაგონება

- როგორია ბგერის გავრცელების სიჩქარე?
- ბგერა, პატივცემულო, ყველაზე სწრაფად გურიასა და სამეგრელოში ვრცელდება!
- ყველაზე გვიან?
- რაჭასა და კახეთში!..

\* \* \*

- რა იცით ინერციის შესახებ?
- ძალიან ბევრი რამ: პირველი კლასიდან სულ ინერციით მოვდივარ!..

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შემთხვევით დავკარგე მარცხენა ყური

ბიბილოსთან ერთად, თქვენს ინსტიტუტში გამიკეთეს გადაწერვის ოპერაცია და მომაკერეს ახალგაზრდაცვლილი მოქალაქის ყური არაპროპორციული ბიბილოთი; ოპერაციაში წარმატებით ჩაიარა, ასევე წარმატებით შეიძლება დამთავრებულიყო შეგუების პერიოდის, მაგრამ გადაწერვილი ყურის ნიჟარა გამოდგა დაავადებული, თანაც ამ ყურით არ მესმის. რა აღარ ვცადე, მაგრამ არაფერმა მიშველა. ტკივილი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიყურადება, როცა სხვის კარს მივადებ სოლმე ყურს. მე კი ეს სანგრძლივად არ შემეძლია, რადგან ბუნებით მშიშარა კაცი ვარ.

გთხოვთ შემიცვალოთ ყური!

## ა ზ რ ე ბ ი

- რამდენი ეშმაკობა და გაიძვერობა დავაბრალეთ მეღიებს!.. ნეტავი რას ფიქრობენ ისინი ზოგიერთ ჩვენგანზე?
- ნემსის ყუნწში გაძრობა ისე ძნელი არ უნდა იყოს, როგორც ამ ყუნწის მონახვა!
- ზომი ადამიანი კრახანისაგან იმით განსხვავდება, რომ ნესტრებს მალავს.
- ტალანის მიწა, უნდა ჩაესტოს! — თქვა ლოთმა.

ბეზლარ ნოზაძე

ნახ. 3. კუციასი



— გაიგე? ისეთი რევიზორი მოდის ჩვენთან, თურმე არაფერს არ ჭამს!..  
— ჰოდა, მაშინ ჩვენ შეგვჭამს!..

ნახ. 3. ლოლუასი



— სორცი არ უნდა იყოს ამ ხინკალში?  
— ჭამე ბოლომდე და შეგხვდება!

# „საქართველოს გაუმარჯოს!“

ამირანის ყანწის სიგრძე მტკაველი და ცხრა გოჭია, თვითონ ძია ამირანიც სხვა აღჩუა, სხვა კოჭია. სამშობლოზე ტკბილი რაა, დედულს, მამულს შენსას რა სჯობს?! ამირანი ყანწს ასწევს და — „საქართველოს გაუმარჯოს!“

რა ქნას, უყვარს საქართველო, მისი უხვი ველ-მინდორით, აღმა-დაღმა დათარეშობს, დანავარდობს, როგორც ჭორი. სხვისი ხელით საქმიანობს, სულს ყიდის და აზრით ვაჭრობს, დაიტენის ჭიბეებს და — „საქართველოს გაუმარჯოს!“

ქრთამის აღებშიცემობა ამირანის ჰობი ვახდა, ერთს დახარჯავს, ორს იშოვის, ოცნება და ფიქრი ახდა! ეს ქვეყანა მთლად მისია, სად არ არის, რით არ ჩარჩობს?! გაატყავებს მთა და ბარს და — „საქართველოს გაუმარჯოს!“

„ერბო-ყველში“ ამირანმა ერბოს და ყველს ცხიმი ჰხადა, ერბო-ყველი ხალხის იყო, საკუთრებად გაიხადა. სამი სახლი აიშენა, აგარაკიც!.. ამას რა სჯობს?! ორი „ვოლგაც“ მოაგორა — „საქართველოს გაუმარჯოს!“

ერბომ გული აუსუყა, რძეს ეწვია ამირიკო, აქ რძის ფასად წყალსა უიღდა, ქაფიც ზუთი გრამი იყო. ხელის ჭუჭუი დააგროვა, აღარ იცის, სად დახარჯოს! „ტუ ას ოთხის“ უიღვა უნდა — „საქართველოს გაუმარჯოს!“

დღევანდელი დღეს მოასწარ, ხვალინდელი სხვისი არი, ახიათასქათმიანი მაცივარიც მისი არი. ძალზე თბილი ადგილია, სჯობს, ამ ადგილს უღარაჯოს! მატარებლის ყიდვა უნდა — „საქართველოს გაუმარჯოს!“

ამირანო, შენს ჭენებას არ აქვს ზღვარი, არ აქვს ჩარჩო! სანამ გინდა, ეშმაკობით მდიდრდებოდე, ფული ქაჩო?! ჩონგურს ზურგი შეაქციე, იმპორტული გიჯობს ბარჯო, ენაც თითქოს აღარ მოგწონს — „საქართველოს გაუმარჯოს!“

საქართველოს ტყუილებით როგორ უნდა გაუმარჯოს?! საქართველოს ცბიერებით როგორ უნდა გაუმარჯოს?! ამირანო, სხვა დრო დადგა, სხვაფრთვ უნდა გაისარჯო, თუ არ გინდა, რომ ერთბაშად ფულიანად „დაიხარჯო!“

გიორგი ივანიშვილი

## ნიკოლოზ ნიქიბინი


(ქ. მოსკოვი)

# ფ რ ა ზ ე ბ ი

- დახასიათებდიან: „თავმდაბალია, მუშაობაში შემწეული არ ყოფილა“.
- ღვთის წყალობა არ უნდა აურიო დამსახურებულ ჯილდოში!
- ცოდნა ძალაა მათთვის, ვისაც სხვა ძალა არა აქვს.
- ტაქილია არა მარტო აკრძალული ხილი, არამედ მისი რელიჯიციის ნაყოფიც.
- სელემქანაძელობა დიდ იმედებს ამყარებდა.. მის მოხსენაზე.
- როცა მოთმინებიდან გამოდინართ, ნუ შეეხებით ირგვლივ მყოფთ!
- საკუთარი თავისადმი რწმენა ნივთმტკიცებებს არ საჭიროებს.

თარგმნა ე. მერაბიშვილმა





პ.82




პ.82

ლიფტიც უენი მოგონილია და  
მაგით უენ აღი!





„მგზავრს უჭირს ბნელით გამოსვლა,  
დადგომა სწორეს გზაზედა“.



პ.80

უსიტყვოდ



პ.83

— სამსახურში არასოდეს არ ვიგვიანებო, მითხრა და პაემანზე რატომ იგვიანებს?



# მოდი ღმერთი და მოქვედები!



ოთარ ფაცაცია

63 წელი და 6 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჟურნალი „ნიანგი“ გამოდის. მისი პირველი ნომრის მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სარედაქციო კოლეგიასა და „ნიანგს“ შორის. ხელშეკრულების მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „სარედაქციო კოლეგია თავისი მხრით ვალდებულია მოაწიოს „ნიანგის“ ცხოვრება ისე, რომ მას არ მოაკლდეს საკბილო მასალა და არ მოშვიდეს, თუ ყოველ კვირაში არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც „ნიანგს“ ეძლევა თავისუფლება და ის გამოდის სოფელ-ქალაქებში გასანავარდებლად. ამ დროს მას სრული უფლება აქვს, ვისაც უნდა იმას უკბინოს, ან სრულებით შეასრამუნოს, ვინც უნდა, გააცინოს ან აატიროს, მოახდინოს ქუნებში თუ სახლებში აურზაური და განგაძი, მიიქმამოთქმამ და ყაყანი. სარედაქციო კოლეგია ვალდებულია დაიცვას „ნიანგი“ ამ დროს ყოველივე საფრთხიდან, ვისგანაც არ უნდა იყოს ის მოსალოდნელი.“ „ნიანგის“ 1728 ნომრის გამოცემის შემდეგ სარედაქციო კოლეგიას სურვილი გაუჩნდა და მიზანშეწონილად მიიჩნია საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვის“ კოლექტივისა და მისი გენერალური დირექტორის ოთარ ფაცაცია პატივსაცემად ხელშეკრულების მე-2 პუნქტს დაემატოს ორი სიტყვა: „ან მოეფაროს“, თუკი ამ სიტყვების ჩამატებით გამოწვეულ ქალაქის სარჯის ზრდას თვითონვე აგვინაზღაურებს იმ დანაზოგიდან, რაც გამოწვეულია მომჩივან-ცილის-მწამებლების, ანონიმ-მგუსლაკების, უნიჭო ნოვატორების, დემაგოგების, მუღაბნელების არყოლით.

კომბინატის ტერიტორიაზე ფაცაცია დასამოქმედების თანავე მოკრძალებული პა-

ტივისცემის გამომხატველი ფაცაცია ატყდა. ჩვენს დანახვაზე კი ვიღაცამ ჩილაპარაკა, „ნიანგი“ გვესტუმროს“ და იქვე პასუხიც მოგვცა: „ნიანგს“ ჩვენთან რა ხელი აქვს?“

აი, „რა ხელი“ აქვს: „საქქალაქმრეწვი“ ძირითადად ქალაქის რამდენიმე აწარმოებს, სახელწოდებიდანაც ცხადად ჩანს. აქ გამოშვებული სპეციალური საწერი მასალითა და მისგან დამზადებული ფართო მოხარების საგნებით, ანუ სხვა საწერი საშუალებებით — რვეულებით, ბლოკნოტებით, უბის წიგნაკებით უხვად მარაგდება ქვეყნის ათასობით ქალაქი და რაიონი, ხოლო თვით საამქროებში არასოდეს კლებულობს თეთრი რულონების „ზვინი“, ესე იგი, უღევადაა ქალაქი.. ამის მიუხედავად, გაერთიანების სისტემაში ვერსად წააწყდებით ქალაქმრეწველობის, სამუშაო დროის უნაყოფოდ ხარჯვის კვალს.

აქ დიდი ხანია, რაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს ფორმალისტს, ბიუროკრატისტს, უყარბათობას, მცონარობასა და უმოქმედობას. ზუგდიდის (ენგურის) ცელულოზ-ქალაქის კომბინატისა და გაერთიანებაში შემავალი თბილისის ქალაქის ფაბრიკის მრავალრიცხოვან კოლექტივში კარგად იცინან ჭეშმარიტი შრომის, მიზანდასახული საქმიანობის, წესრიგის, ორგანიზებულობის ფასი და წარმატებებსაც აღწევენ.

ყოველ კარგ საქმეს თავისი მოთავე, სულსჩამდგმელი ჰყავს. ასეთი თოსანი, წინამძღოლია სწორედ ოთარ ფაცაცია, რომელიც ენგურ-ქალაქკომბინატის დირექტორად ოცი წლის წინათ დანიშნეს. დიდი ჯაფა და ენერჯია შეაღია ნაცადა ხელმძღვანელმა სამრეწველო კომპლექსის განვითარებას სანამ იგი საწარმოო გაერთიანების ტიტულით მოინათლებოდა და სანამ მუშო სახელს მოიხვეჭდა.

ოთარ ფაცაცია ამა წლის ივლისში ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

იმ დღეს ზუგდიდის ცენტრალურ ქუჩებში ბევრს ნახავდით კმაყოფილებით სახემოღმარს ხელში გაზუთ „კომუნისტი“, რომლის მეორე გვერდს უმაღლესი ჯილდოს ღირსეულ კავალერზე ნარკვევი და ფოტოსურათი ამშვენებდა.

ოთარმა ხალხის სიყვარული და პატივისცემა იმითაც დაიმსახურა, რომ ნამდვილ მამულიშვილურ ზრუნვას იჩენს ქალაქის კულტურის კერების მშენებლობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. „საქქალაქმრეწვი“ შეფობას უწევს სახელმწიფო თეატრს, კულტურისა და დასვენების პარკს, საშუალო სკოლებს. ესეც ხომ სასიკეთო გარდაქმნის, ეკონომიკური ძლიერების უტყუარი დადასტურებაა.

## ანეკდოტი და სინაგვილი

**კომბინატში** ერთი ენასარტი სპეციალისტის შეთხზულ სახუმარო ამბავს მოგვიყვან: თურმე საიქოსკენ მიმავალ მკვდრებს ვაჭირვებით წამოეწია ვიღაც ახალგაზრდაცვლილთ, რომელიც ჩვეულებრივი მიცვალებულებისაგან სიგამხდრითა და საცოდავი შესახედაობით განსხვავდებოდა.

— რას დამსგავსებინარ, საიდან მოდიხარ, რა საქმიანობას ეწეოდი? — ერთ-

ბაშად მიუყრიათ კითხვები მკვდრებს.

— რა მოგდით, ცელულოზის ქარხანაში ნამუშევარ კაცს პირველად ხვდებით? — უპასუხებია ახალმისულ სულს...

ხუმრობა ნახევრად მართალია, იცინათ თქმა საშეგარელოში. ადრე კომბინატის ცელულოზის ქარხანა, მართლაც, აშკარად მაგნე საამქროდ ითვლებოდა. მისი სადენებიდან გამოფრქვეული დაგროვილი გაზები წამლავდა გარემოს, უმეტესად — საწარმოს ტერიტორიას. ე. წ. გამოფრქვევის დროს კიმიკატების მძაფრი, უსიამო სუნი შორ მანძილზე აღწევდა.

1965 წლიდან, როცა ოთარ ფაცაცია დიდი და საპატიო მისიის შესრულებას შეუდგა, დადგა კომბინატის გადასხვაფერების, რეკონსტრუქციისა და გაფართოების ნანატრი ფაში. გორბაჩოვ-ჭრიახ ხელმძღვანელს მხედველობიდან არ გამოჩინვია გარემოს გაჯანსაღების პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზე ბევრად იყო დამოკიდებული მშრომელთა საერთო კეთილდღეობა. ტექნიკური განახლების ზანგრძღვე პროცესში ახლებურად გამოიკვეთა კიდევ მაგნედ წოდებული









უშრომელ შემოსავლითა ისე გასუქდა უშანგი,  
უშემოსავლო შრომა თუ უშველის თავმდგომ გუშაგით!

მისკალ -  
-მისკალ



- **მშობელი** შვილისათვის იგივეა, რაც აეროდრომი თვითმფრინავისათვის — აფრენილს ცაში ვერ აპყვება.
- **ზოგი** იზრდება სცენისათვის ამა ცხოვრებისა, ზოგი მის მაცქერლად პარტერიდან, ზოგიც კულისებისათვის პირფარეშ-მეგრამე-მეკოსტიუმედ.
- **ზოგისთვის** თანამდებობა როლის კოსტიუმი.
- **პოეზიარი** — მეომართა სულის სარდალი.
- **ჩაგი** თავგადასავალი არ მემეტება მოთხრობისათვის — ვაითუ დამიკნინოს.
- **ბავრ** ჩვენიანს უსწავლია დასავლეთის ქვეყნებში.

- მეც... დასავლეთის ფრონტებზე;
- ისინი ისმენდნენ ლექციებს;
- მე — სროლას;
- ისინი ნაშულობდნენ გამოფენებს;
- მე — სოცვას;
- ისინი ესწრებოდნენ სპექტაკლებს;
- მე — ბატალიებს!..
- **ფუტპარს** არ ძალუძს მოგვცეს ლუდი.
- **ჭრაჟი** სიბნელეში უკეთ ანათებს, ვიდრე ლამპიონი — მზეში.
- **შეიძლება** მომერიო, მაგრამ გამარჯვებული ვერ შეიქნე!
- **ქანწაროვ**, მზისა და მთვარის პირველ სსივთა ემბაზში ამოვლებულო, ქარიშხლებთან პირველშენახლებო, ცას მიბჯენილო, ყოველივე ცით მოვლენილთაგანვე ნალოლიავებო და მესდანატენოც, მიეშურვი სულ ზევით-ზევით ქვემოურ ნაშიერთაგან გაკილულ-განაქირდავო!..
- **ბავრს** ის კვნესის, ვისაც ბევრი რამ სტკივა.
- **მეგობრებო!** თქვენი გამამხნევებელი შეძახილები ცხენსაც კი საფლობიდან ამოახტუნებს და მარულაში პირველს გაიყვანს ფინიშთან!

ვლადიმერ თორდუა



იმ გაზმა კი არა, კბილებსა და ლურსმნებს რომ აძრობს, — არა, იმ გაზმა, ბინებს რომ ათბობს, სამხარულოებში რომ გაჯერებს აბრიალებს, სააბაზანოებში წყალს ათბობს და, რა ვიცი, რას არ აკეთებს!..

ასეთ გაზზე მოგახსენებთ!  
რა მიყვება ვიყავი ჩემთვის მიწის ღრმა წილში მიძინებული. არავის არ ვერჩოდი და არც არავინ მერჩოდა, ვიყავი ჩემთვის გატრუნული. იმას, რასაც ახლა მე მაკეთებინებენ, შესანიშნავად აკეთებდა შეშა, ქვა-ნახშირი, ნავთი და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალა?..

მოვიდნენ ეს ბოლშევიკები და თქვეს: ნავთობთან ურთად ნიადაგში ისეთი გაზია, რომელსაც ცეცხლი ეკიდება და უნდა გამოვიყენოთ!

მომადგნენ, ღდინამდე ჩამომწვდნენ, მიპოვეს: გვეოფა ამდენი ძილი, კეთილი ინებე, დედამიწაზე ამობრძანდი და ხალხს მოემსახურე! ტყეები გაგვიჩანავდა, უნდა შევიწარჩნოთ, თორემ ვახრიოკდებო ქვეყანა!

ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი; თუ ასე ვაგრძელებდი, მართლაც ვახრიოკდებო ქვეყანა და შეიქნა პნევმატური ბურღების ტარციალი, ჭაბურღილების ბზრიალი, წერაქვების, ექსკავატორების გზიასი და მომწვდნენ, მერე სად არ მომწვდნენ — არ დაუტოვებიათ არც აზია, არც აფრიკა, ყველგან გამიხსნეს და გადმომიბრუნეს გულმუცელი.

მეც წამოვედი და შხუილ-შხუილით წამოვედი! ათას კილომეტრებზე გაჭიმული მილსადენებით ისე დამიგრისეს გზები, რომ აღარც კი მახსოვს, სად ვიყავი და სად ამოვიყავი თავი. რას ამბობთ, შუაგულ და იმას იქითა ციმბირიდან ევროპაში ამომიყვანეს. წარმოგიდგენიათ?! ტყეებს ეშველა აშკარად! ვილას რაღად უნდა შეშა?! ბინებს მე მათობინებენ, სახმელ-საჭმელსაც მე მაკეთებინებენ, ქართული პური რომ ქართული პური, რომლის გამოცხობაზე რაჭველები წელში წყდებოდნენ, იმასაც მე მაცხოვრებენ.

თუ ამდენი შემქმნლო, სწორედ ვერ წარმომედგინა. თუ იცოდნენ, ასეთი შექმნება მქონდა, სად იყვნენ ეს მამაცხონებული და მამაგანათლებული შვილები?!

# გაზაა თქვა...

ვალბალონი

მართლაც, რა კარგია! გადაატრიალე გაჯერაზე ვინტილი, გაკარი ასანთი, ავბრიალდები და თვალის დასამსახმებაში მზადდა ადუღებული წყალი, გახურებული ქურა, გინდა ჩაი სვი, გინდა — ყავა, გინდა ქათამი შეწვი, გინდა — ინდაური, გინდა — გოჭი და გინდა — ბატკანი, თუ შენი პატიოსანი შრომით ადებული ფული გეყო მათ საყიდლად. თუ არა და, ერთხანს შეეშვი შემწვარს, მოხარული იქმარე! უშრომლად ნაშოვი ფულით ნუ იზამ, არ შეგერგება!

ბენის გათობაზე ვინდა იწუხებს თავს?! მოახლოვდება გათობის „სეზონი“, თვითონ გათობენ ბინებს. მართალია, ეს „სეზონი“ ბევრჯერ არ ექვემდებარება ტაროსს. აცივდება, ბინების გათობაა საჭირო, ცივა, მაგრამ „სეზონი“ არ დამდგარაო და არ ირთვება გათობა, ამით სარგებლობს გრიპის ინფექცია და იწყებს ბუქნობას.

განა ძნელია ეს „სეზონი“ მიუსადაგოთ ატმოსფეროს მოძრაობას? ხომ ცნობილია, რომელი გრადუსიდან იწყება სიცივე, როცა საჭიროა სითბო, ადამიშვილი რომ არ გაცივდეს? აილე, შე კაი კაცო, — ვისზედაც ეს დამოკიდებულია, იმას ვეუბნები, — და ჩართე! დეკრეტი სითბოს ჩართვა-გამორთვა ვის გაუგია?! თუ ისე დათბა, რომ აღარაა საჭირო გათობა, გამორთე! მაგრამ არა, „სეზონი“ არ გასულაო და ათობენ, ფანჯრებს ვადებთ ამ დროს. საქმეა ეს? გაზი კი მქვია, მაგრამ მეც ხომ ფულად ვლირვარ?! არ აულობებს, როცა საჭირო ვიქნები, მაშინ ჩამრთონ და როცა აღარ, გამომრთონ?

ამას, რასაკვირველია, იმ კომუნალურ სახლებზე მოგახსენებთ, სადაც ხალხი კომპაქტურად, მრავალრიცხოვანად და მრავალსართულებად ცხოვრობს.

პრობლემაა ინდივიდუალური ბინების გათობა, განსაკუთრებით სოფლად. კაცს ბუ-


ნებრივი, მუდმივი გაზი მიუყვანია, მაგრამ გასათბობი სისტემა კი არა აქვს და ვერ თბება. იზადება კითხვა: ვინ უნდა გაუყვანოს ეს სისტემა? თურმე გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებს ეს არ ევალებათ. თვითონ უნდა იშოვო სათბობი აპარატები — „ემჩე“ ან „ავევე“, რადიატორები, მილები, ისევე გაჯანტორებიდან აიყვანო კერძო ხელოსანი („შაბაშნიკი“), რომელმაც ამის დამონტაჟება იცის და ყოველი რადიატორის დადგამაში 100 მანეთს ვართმევს, გააკეთებინო გათობის სისტემა, რომელიც გაჯანტორამ უნდა მიიღოს საბოლოოდ, უმისოდ ვერ ჩართავ! ხარჯი? ბარე ათას მანეთებს სცილდება!..

ამ რამდენიმე თვის წინათ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის განცხადება იყო პრესაში, რეკლამას უკეთებდნენ ლენინგრადულ „აოგ-3“ აპარატს, რომელიც 195 მანეთი ღირს და 150 კვ. მეტრ ფართობს ათბობს, ყოველ გაჯანტორას აქვს, მიაკითხეთ და დაგიდგამინო! მეტი არაა ჩემი მტერი! ვინაც მიაკითხა, უთხრეს, აპარატები კი გვაქვს, მაგრამ არ ვიცით, რას წარმოადგენს, არ გვიცდია, ვერც გირჩევთ და ვერც გავიკეთებთ!

ესეც შენი რეკლამა! გამოცდილმა „ემჩეებმა“ და „ავევეებმა“ რაღა დააშავეს? რატომ არ იღებენ თავის თავზე გაჯანტორები მშრომელებისათვის მათ დადგმა-დამონტაჟებას ისე, რომ კაცმა არ იწვალოს და „შაბაშნიკებმა“ ტყავი არ აძრონ, სახელმწიფოს მოსჭარბდა ფული?

ჩავუფიქრდეთ ამ საკითხს!  
საქართველოში გაზი არ აღმოჩნდა. გასაოცარი კია. ამ დალოცვილ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ხარობს, მე რა ღმერთი გამიწერა, რომ ჩემთვის ადგილი არ დარჩა. მაგრამ არა უშავს, უგაზობა არც აქ გვატყვია. საბჭოური ერთა კავშირი იყოს, თორემ გაზი რა არის, ურენგოიდან ევროპაში გაიყვანეს და საქართველოს დატოვებენ?! ერთ ხანს ირანიდანაც კი მოგვდიოდა გაზი, მაგრამ აითოლა ჰომეინმა შეგვიწყვიტა. შეგვიწყვიტა და შეგვიწყვიტოს, მით უარესი მისთვის!

ალ. ბონია



ნახ. მ. აბაშიძის

— რომ გარდავიქმნათ, სკამები უნდა შევცვალოთ! ამით მეტი ღინამიში მიეცემა ჩვენს მუშაობას!

## ახალი ამბები

საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთ-ერთი ახანოდან დღეიშობილა გამოვარდა მეცნიერი მუშაკი ნებეირიძე. დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ ამ ახანოში თბილი წყალი სწორედ მაშინ წყდება, როცა მეორედ ისვამს საპონს სხეულის ქვედა ნაწილზე.

მხლოდ ერთხელ გაიმარჯვა კამათში სტომატოლოგმა კბილაძემ. პოლიკლინიკაში მისულ კბილის ტკივილით გამწარებულ, პირგაღებულ მუდლეს საბურლი მანქანის ხმაურში ერთი საათი ელაპარაკებოდა მისი აუტანელი ხასიათის შესანებ. ფაქტების სისწორეში დარწმუნებული მეუღლე თანხმობის ნიშნად თვალებს უბრიალებდა.

ვალერიან მამუკაელაშვილი



# საქართველო დღიური

მოგხვავალს

ავტორიანების მოყვარულს

შენს გულს სხვა არა სწადია, —  
ფულის და ოქროს ტყვე არი!  
ცოლს დაუშვიძე თითები  
პლატინის ბეჭდით თვლიანით,  
რძალს და შვილს — ბრილიანტებით,  
ორმოცი კარატანით!..  
ვაი, რომ შინც ვერ გაძღა  
მაგ გული, ოსურ-ტოალი!..  
„ვირის აბანო“ გიშველის,  
ჭერდაბალი და მტვრინი!



შენს პაპს, პაპის მამასა  
ხარი არ უყვდათ უღელი,  
მიწას შიშველი ხელებით  
ებრძოდნენ მკლავმოუღლელები.  
შენ კი რამ გაგაყოფონა,  
რა უზნეობამ დაგქარა?! —  
ეზოში შემოაგულე  
მესამე ავტომანქანა!..  
„ვოლგაზე“ ზისარ შენ თვითონ,  
„ნულ-ექვსს“ უნახვ სასიძოს,  
აღმათ, „ვოლგაზე“ გადასვამ, —  
სიძემ დანავრა არ იგრძნოს!  
„ნულ-შვიდს“ უმცროს ბიჭს აკუთვნებ,  
სვენა-მუდარით დაგვალა.  
დღესვე მიუშვი, იქროლოს,  
ბედალს ფხს უწოდენ ბაღანა!

ბავშვობიდანვე მუყაით  
შრომა-გარჯას ხარ ნაწვევი,  
სწავლობდი, თავსაც ირჩენდი,  
უმცროს და-ძმასაც არჩენდი.  
დაზვასთან გქონდა წიგნები,  
წიგნს არ უშვებდი ხელიდან.  
გზა ოფლით გაიცისკროვნე,  
ცხოვრება შექმენ შენითა.  
იბრძოდი, არა გნვეოდა  
წუწუნი ოსვრა, ვალალი!..  
ბინაც, მანქანაც, სახელიც  
კი იყო შენზე ალალი!  
ახლა რა მოგდის, რას შერები?! —  
ანყობილ საქმეს გვირევე დღეს, —  
შენი უქნარა შვილისთვის  
შოთისოვ ყველა სიკეთეს!  
ბატს არვინ მოაწყვესვინებს,  
კაპიკსაც არვინ ენდობა,  
შენ უკვე „გამოუნახე“  
ყალთაბანდს თანამდებობა.  
ნატვრის თვალვიით უსრულებ,  
რაც უფიქრია, რაც უთქვამს,  
ბინასაც „გაუიშინაქნებ“  
და მანქანასაც, საკუთარს.  
ის კვლავ თაღლითობს, უქნარობს,  
რაც იყო, ისევე ის არი,  
შენს შვილს შენც მიგაყოლებენ,  
ამას არ უნდა შისანი!

## მ ვ რ ი კ ა

იუმორისკა

რა ხანია ვერონტოლოგები თავს იმ-  
ტვრევენ, რათა დაადგინონ საქართველოს  
მთიან რაიონებში მცხოვრები ზოგიერთი  
ადამიანის დღევრძელობის მიზეზი. რა ვა-  
რად არ გაისინჯა, რა ცდები არ ჩატარდა!  
ლაპარაკობდნენ სუფთა პაერსა და ფიზიკური  
შრომის სარგებლობაზე, ღვინის ზომიერ  
სმასა და სორცის მანებლობაზე, თამბაქოს  
წევის საშიშროებაზე!.. მაგრამ არც ერთ ამ  
ვარადს არ ეწერა ხანგრძლივი სიცოცხლე-  
პრაქტიკა აბათილებდა ხან ერთ, ხან ყველა  
მოსაზრებას ერთად.

სხვა ხელს ჩაიქნევადა, მაგრამ ჩვენი მეც-  
ნიერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ  
მათ არ შეუწყვეტიათ მეცადინეობა, ახალი  
გზების ძიება.

და აი, ხანგრძლივი და შეუპოვარი  
კვლევა-ძიება წარმატებით დამთავრდა —  
ვერონტოლოგიის ინსტიტუტიდან იტყობინე-  
ბიან სასიხარულო ამბავს. იქ საბოლოოდ  
დაუდგენიათ: ხანდაზმულობის საიდუმლოება  
იმაში მდგომარეობს, რომ მთის დღევრძელ-  
მა ადამიანებმა არ იციან, რა არის ტელე-  
ფონი!

როგორც სოციოლოგიურმა გამოკითხვამ  
დაადანტურა, ეს დასკვნა არც ერთ თბილი-  
სელში, თუ არ ჩავთვლით კავშირგაბმულო-  
ბის მუშაკებს, ეჭვს არ იწვევს!

დონ კედრო



ვაჭრობის მუშას

მოყვრულად პირში ვიძრახავ,  
რად უნდა ვიმტრო, რას ვერჩი?!  
ქონიანს ქონი დავედო,  
დადისარ, როგორც კაშხი!  
ოთხი ოთახი მოიწვევ,  
დაიწვევ ავე-მავჯი!..  
ათიათასად ნაშოვნი  
ჭადი ვიბრწყინავს ბრდღვიალა,  
ავარაკზეც გაქვს ვარავი  
მარტო ქალაქში კი არა!  
ორივე ვარავს ვიმშვენებს  
მანქანა კრიალ-კრიალა.  
დღეს გუშინდელზე მეტი გსურს,  
წაგლეჯაით, ვლუფით, შექნით!..  
ნოქრის ხელფასით, შე ქველ,  
ამდენი როგორ შექელი?!



ილუსტრაციები ზ. ფორჩხიძისა

## განკლავა მუშაობა

მინიატიურა

— ბიძია, თუ შეიძლება, ათი ცალი წუმ-  
წუმა მომეცით!

— არა მაქვს, შვილო, ხვალ დილით შე-  
მოიარე!

— შენ მე გაღამრევე! რად გაისტუმრე  
უართ? სპიჩკის მეტი რა გაქვს?!

— რა გქნა, ბუთხუზიჩ, გაძნელდა მუ-  
შაობა, სულ ერთმანეთში მერევა ბლითი,  
ფუნთუშა, ასანთი, სპიჩკა, ბულივი... მე მე-  
გონა ბულივი უნდოდა!..

— ახლა მაგ ბავშვის მამა რომ მოვიდეს  
და გვერდები დაგიზილოს, ხომ ახი იქნება  
შენზე?

— არც-ეგ მაკლოა, ბუთხუზიჩ! ამას წი-  
ნათ ერთი ანმახი შემოვიდა, ერთი კილო-  
გრამი მანანას ბურღული მომეცით, ხო იცი,  
როგორი თვალი მაქვს, სად მანანა, სად ის  
ანმახი... ვერა, ძაო, ვერ მოგცემ-მეთქი, მა-  
შინ მიხაკას დარიჩინი მომეცით, პასპორტი  
მოვთხოვე, არა მაქვსო, მოიტანე და, თუ  
მიხაკა გქვია, გაგატან-მეთქი. წავიდა და ის  
ანმახი მოიყვანა, მაშინვე ვიცანი, კარტის-  
ტი მიხაკა იყო. — რაც ქვეყანაზე დარიჩი-  
ნია, სულ თქვენი ფეშქაში იყოს-მეთქი,  
მაგრამ არაფერი გამოვიდა!.. ერთი თვეა,  
რაც სააქადმყოფოდან გამოვეწერე... მოკ-  
ლეუ, გაძნელდა მუშაობა!..

თამაზ კასრაძე







